

სპორტიელი

ეროვნული
ნიშნითა

სპორტული გაზეთი

ოთხშაბათი 4 აპრილი 2001 №59 (1332)

პასი 50 თეთრი

სტრუქტურა
103

**შენი
სახლი
შენი
ციხესიმაგრე
არ არის!**

მანჩესტერი 0
ბაიერნი 1

**შაშის
იაჭი და
გალას
სევაიძე**

ბლათასარი 3
რეალი 2

იხილეთ მეორე გვერდი



ჯოვანი ელბერმა (წინა პლანზე) და „ბაიერნი“ მიკაელ სილვესტრი და „მანჩესტერი“ პაერში გამოვიდეს

საერთაშორისო **12** რეპორაჟი
უაღდამი **12** ლიბა
შპს-ი **12** აბაი

1 ტურნი
VII-XII ადგილები

ვიდრე ვხვალთ პირში წყლით?!



გორდა — სიონი 3:2. ბოლნისელთა მეკარე თემურ ვოლოკოვა კარში შევარდნილ ბურთს თვალი მესამედ გააყოლა

შინაურობაში ამაზე ისე ლაპარაკობენ, როგორც ამინდზე. უცხომ თუ იგუმანა რამე — ხმა, კრინტი, აბა, დამიმტკიცე! არადა, ყველამ ყველაფერი იცის... ეგაა, თუ არ დაიჭერ, ქურდი არ არის. ჩათავდება კიდევ ერთი თამაში — ვითომ თამაში თუ მართლა თამაში და მერე ყველა პირში წყალს ჩაიგუბებს. და ცხოვრობენ ასე, რამდენი წელია — პირში წყლით.

„გორდამ“ „სიონი“ 3:2 დაამარცხა, 0:2 აგებდა და ბოლო 38 წუთში ჯულელის და ალადაშვილის წყვილი გოლით გაიმარჯვა. ყოჩაღ, რუსთაველებო, გაიფიქრებს კაცი, მაგრამ...

გუშინ „გორდას“ წაგებული თამაშის გადამრჩენისა არაფერი ეტყობოდა, არც „სიონი“ წყვეტდა ციდან ვარსკვლავებს, თუმც ამხელა უპირატესობის გამწვანებელიც რომ არ იყო, ესეც ცხადად ჩანდა. ერთი სიტყვით, „ფოლაოზე“ ფეხბურთის ნაცვლად ფეხბურთის მსგავსი უნიჭოდ შესრულებული სანახაობა ვიხილეთ. ასეთი მატჩების შემყურეს სურვილი გიჩნდება, მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, ფედერაციის თავკაცებს მკვახედ შეუძახო, მაგრამ აქედან რა...

გუშინ „გორდამ“ მოიგო, თსუ-მაც სამი ქულა მიითვალა, „დილამ“ კი „ბათუმს“ ქულა გაატანა და შეხვედრის არბიტრიც არდანიშნული პენალტის გამო ფურთხით გაისტუმრა.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

გადარი კაითილაპის ფოტო

REUTERS მანჩესტერიდან



UEFA CHAMPIONS LEAGUE
ფეხბურთის ჩემპიონთა ლიგა
 ევროპის უმაღლესი ლიგა

მანჩესტერ იანაიზი 0:1 ბაიერნი
 მანჩესტერი, «ოლდ ტრაფორდი»
 66 584 მაყურებელი
 0:1 ბაიერნი სერცია (86)

ბარტენი, ვარელი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრო, კინი, ბუენი (იორკი 87), სერულზი, ციგზი, რედი კოლერი, სოლსკეიბერი
 მწვანეთა: ალექს ვერტუსონი
 მარჯვენა: ბუენი, სილვესტრო, რეინერტი, ლიზარაზუ მსაბში ინტონიო ლობუს ნეტო (ქაბანი)

კინი, ლინკო, კოფური, ანდრეასონი, ლიზარაზუ სარ ლიმპიერი, იერუსი, შილი (ბოლო სერცია 76), ენდრეატი, ელბერი, იანკერი (ვიკტორი 69), მწვანეთა: ოტმარ მიფელდერი

გალათასარაი 3:2 რეალი
 სტამბოლი, «ალი საიი იანი»
 22 000 მაყურებელი
 0:1 რეალი (32), 0:2 გალათასარაი (43), 1:2 რეალი (47), 2:2 მსაბ შილი (65), 3:2 რეალი (76)

ტაფარელი, კამონე (ფაბიო 46), ბოულენი ტორ კნაზი, პოპესკუ, ერგუნ, სუთი (ბოულენი ბენი 46), უმითი, ოკანი, პაუი, ვარდელი, მსაბ შილი
 მწვანეთა: მიჩა ლუქსკა
 მარჯვენა: ოკანი, პოპესკუ, სალგადო მსაბში ბერტლუვი კოლინი (იტალია)

კაბილიანი, სალგადო, რობერტი კარლოსი, იერო, კარანატი, ელბერი, მაკელედი (სელადევი 46), მაკინამანი (სოლარი 89), ვიგუ, რაული, მორიენტეტი (ტუტი 69)
 მწვანეთა: ვანტეტი დელ ბოსკე

საქართველოს **12** რეპორატი **1** ტურნი
 ევროპის **12** ლიგა
 შიორა **12** ეტაპი

VII-XII ადგილები
წვიმაი და წუხუკაი
 იბერია ექსიზიერიელგაც არ ღაინდო

ტოვა 2:0 იბერია

0:1 ახალაძე (34), 2:0 მებრეცი (55)
 მსა სტურუა, ხარუბაძე, ცხრაიძე ბერიანიძე არშიძე & გვაზაძე, & მებრეცი, ახალაძე (ბეროშელი 78), მესხი, მერტაშვილი (მომიაშვილი 83), ბ. ნოზაძე (ს. ლაბაძე 46)

სათადარიგონი: მამარდაშვილი, დიმიტრიშვილი, ჯობაძე, ცხრაიძე
 მწვანეთა: ცინაძე, სანიკიძე, ნინუა, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, მიქელაძე, გ. ნოზაძე, ძამაშვილი (ვიციანი 70), თარგამაძე (ტულორაძე 61), გაგუა, ლ. სმილაძე (ჩაჩუა 59)

სათადარიგონი კონაბიძე ვენია, ტიაბრიშვილი, ვარაშვილი
 მარჯვენა: ამისულაშვილი (10), ლაბაძე (47)
 მსაბშილი: მ. მისურაძე & ჯვარიძე, & ურუშაძე & შილაკაძე (ყველა თბილისი)
 სწვს ინსპირირი: & ლაბაძე

ტოვა — იბერიელმა რამდენიმე წამი დაახანა, მერე უხეიროდ დაარტყა, ბურთი სტურუას ხელგას „დაუმიზნა“.

ამასობაში წვიმამ იმლაგრა, გალუქმულმა ფეხბურთელებმაც უფრო კინიანად დაუწყეს ზედა „იარმაზის“ მიწოდორს. ტოლი-სწორად იბრძოდნენ გუნდები, თუმც ტაიმიშ შუაწელიდან ცოტა არ იყოს, მოტყდა „იბერია“ და გოლიც გაუშვა. ზვიად გვაზაძე მოედნის ცენტრში კარგად გაისარჯა, სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან კახა ახალაძე მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი ერთი მეტოქე ლამაზად ჩამოიცილა და მოჭრილი დარტყმით ბურთი ცინაძის კარის „ცხრიანში“ გაგზავნა. პირველი ტაიმის დასრულებას ცოტაღა უკლდა, როცა „იბერია“ კიდევ ერთი მწვავე კონტრშეტევა გაახერხა. ზაზა მიქელაძის ფლანგურ ჩაწოდებულს სტუდენტთაგან უმეთვალყურედ დარჩენილმა ზურაბ ძამაშვილმა ათიოდ მეტრიდან ღონიერი თავური შეაგება, მაგრამ ოდნავ არაზუსტი.

დავით თამარაძის მცხეთიდან

„შუაში“ გაიყო ისედაც სეკესტრირებული ჩემპიონატი, მონაგარი გაუნახედათ გუნდებს — ზოგს მოპოვებული უპირატესობა შეეკეცა, ზოგსაც შანსი მიეცა, წინ გაჭრილებს წამოეწიოს. ერთი სიტყვით, ვის როგორ, ბოლოადგოლისან „იბერიას“ კი ყოველივე ეს ცხადია, ხელს აძლევს, მაგრამ პირველივე ცდაზე ფეხი დაუცდათ ნოდარ აკობიას ბიჭებს.

„იბერია“ ვერც გასახლედიდან ხელმორედ გამოსულმა შეძლო თამაშის რიხიანად დაწყება და სტუდენტებმაც მალევე იხეივს. საგოლე პასი კვლავ გვაზასი იყო — სტუმართა საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთზე ცინაძე უხეიროდ გამოვიდა, მცველებიც ჩაფლავდნენ და ექსიზიერიელმა ზურაბ მეტრეველმაც თავურით ცარიელ კარში გადაგზავნა ბურთი.

სტუმრები ამანაც ვერ გაახელა, უფრო სწორად, თავს ზემოთ ძალა აღარ იყო. ინერციით უტევედა აუტსაიდერი, ვითომ რაღაცას ცდილობდა, განწირულ, დენტგამოლეულ და უმეთვალყურედ დარჩენილ რაზმს წაგავდა.

სტუდენტებს კიდევ შეეძლო დაწინაურება. მათგან საუკეთესო შანსი ორჯერ მიეცა ახალაძეს, მაგრამ ორჯერვე მახვილი კუთხიდან მოუხდა დამაგვირგვინებელი დარტყმის შესრულება და ბურთი კარს ააცილა. ერთხელ სტუმრებმაც გამოიდეს თავი, ლევან ჩაჩუას ჩაწოდებულს ამისულაშვილმა არაზუსტი თავური მიაყოლა.

ასეთი იყო ქვედა ექვსეულის წვიმიანი, მცხეთური ამბავი სტუდენტთაგან იბერიელების ძლევისა.




REUTERS სტამბოლიდან

მარია ვარდელის თავურმა „გალათასარაის“ მოაგებინა



REUTERS მანჩესტერიდან

„ბაიერნის“ ლეგიონერებმა ბაიერნი სერცია, ჟოვანი ელბერი და სამუელ კოფური



REUTERS მანჩესტერიდან

ფაბიენ ბარტენი

ინგლისი

I დივიზიონი
 გადაღებული მატჩები
უოტფორდი 3:0 ნოტიდამი
 10 ნოელ-ლიამსი (21), 20, 30 მუნი (46, 72)
პრინტალ პალასი 0:0 პაფისფილი
გოლტონი & სტოპპორტი
 10 პენდრი (11), & კუი (67)

II დივიზიონი
 გადაღებული მატჩები
მილუოლი 2:0 სტოკ სიტი
კოლჩესტერი 3:0 სოუსი
გორჩესთი 4:3 მდფორდი
პრინტონი & რამსაი
ლუდოვი & რაიონი
როვიასი & პრინტონი

III დივიზიონი
 გადაღებული მატჩები
დარლინგტონი & საუთინდი
სანტორაი 2:1 ლინკოლინი
როფორდი & პრინტონი
პარფიონი — ბარნიტი
 გადაღლო

ავსტრია
 თანის 1/6 ფინალი
შტურმი 4:2დ.დ. (2:2) აუსტრია

პოლონეთი
 ლიგის თანის 1/2 ფინალი
 II მატჩი
ზაგლეზი 2:1 პოლონეთი (0:0)

საფრანგეთი
 II დივიზიონი
 გადაღებული მატჩი
შატორუ 3:1 ლო ავირი

ჩეხეთი
 XVIII ტური
სლავია & გოპინიანი
პრინტონი 0:0 სიგმა



ერეკლე მერტაშვილი და იბერიელი ალექსანდრე ამისულაშვილი

მსაბშილი მწვანეთა



პაჭრობა შავების საქმე არ არის

საფეხბურთო სამყაროს თავისი კანონები და ოლითგანვე განსაზღვრული წესები აქვს. წესრიგის დამცველთა რაზმში ერთ-ერთი დაფასებული და საპატიო ადგილი თამაშის სადავეების მპყრობელ მსაჯეს ეკუთვნის. მის ქმედებაზე საკმაოდ ბევრი რამ არის დამოკიდებული. მრავალი მატჩი გვახსოვს არბიტრის მიერ გაფუჭებული და მსვლელობაშეცვლილი.

გულშემატკეპარიც მატჩის დროს, ყველაზე ხშირად ავად თუ კარგად არბიტრს მოიხსენიებს. არცთუ დიდი ხნის წინ ტრადიციულად შავებში გამოწვობილი ფეხბურთის წესთა გამრიგენი, რომელთაც ახლა ათასწორი ფერის სამოსი ამშვენებთ, მუდამ ყურადღების ცენტრში იმყოფებიან. სწორედ ამგვარი „დაფასების“ მსხვერპლი გამხდარა ფიფას არბიტრი, ბელარუსი გენადი იაკუბოვსკი.

პოლიციამ, მიუხედავად მისი მაღალი პროფესიული ჩინისა, ფეხბურთის მატჩის დროს ხელ-

შეუხებელი კაცი თაღლითობაში ამხილა.

იაკუბოვსკი გარდა მსაჯობისა, ფეხბურთის სამყაროში სხვა, არსებითად განსხვავებული საქმიანობითაც ყოფილა დაკავებული. მას ბრალად სატრანსფერო ბიზნესში უკანონოდ ჩარევა ედება. თურმე, რუსული „სოკოლი“ და ბელარუსული „ლოკომოტივი“ ნახევარმცველ მისაილ პაცკოთი ვაჭრობას ფიფას არბიტრის, გენადი იაკუბოვსკის მეშვეობით ახორციელებდნენ. სატრანსფერო ამბებში არამკითხველ, პოლიციის მოსაზრებით, ამ გარიგებიდან 23 ათასი დოლარი ჩაუჯიბავს. გარდა ამისა, იაკუბოვსკის სინდისზე, ისევ პოლიციელთა ეჭვით, 21 ათასი დოლარია, რომელიც მსაჯმა საგადასახადო უწყებებს უცნობი ხერხებით დაუმალა.

სამარცხვინო ფაქტია, გენადი იაკუბოვსკი ხომ 1993 წლიდან ფიფას ნდობით აღჭურვილი პირია და პატიოსანი მსაჯის სახელით, მრავალი საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი გამართულა. ვერ შეიფერა პატივი იაკუბოვსკიმ და თუ პოლიციელთა ეჭვები დადასტურდა, რეპუტაციასთან ერთად საფრთხე მის თავისუფლებასაც დაემუქრება.

გიორგი მაგარაფშილი

ლილიანი და პაოლო ტურამს მალდინისთან უნდა

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ლილიან ტურამმა ამას წინათ განაცხადა, თუ „პარმა-სთან“ ერთად რაიმე სერიოზული ჯილდო, განსაკუთრებით კი სკუდეტო ვერ მოვიპოვე, იძულებული გავხდები, კლუბი დავტოვო და სხვა, უფრო ამბიციურ გუნდში გადავიდეო. ახლახან კი ტურამმა სასურველი გუნდის სახელიც გაამჟღავნა: „თუ „პარმადან“ წავედი, „მილანის“ მაისურას მოვირგებ“ — ასეთია ფრანგის სურვილი.

საქმე ისაა, რომ ტურამმა ერთ-ერთ გაზეთს გაუშხილა, ძალიან მომწონს პაოლო მალდინის თამაშის სტილი, იტალიელ მცველს მეტად ვაფასებ და თუ მანის მომეცემა, უარს არ ვიტყვი, მის მხარდამხარ ვითამაშო.

„ჩემთვის უდიდესი პატივი იქნება, თუ პაოლო მალდინისთან ერთად მომიწევს თამაში, თუმც არ ვიცი, მასაც სურს თუ არა იგივე პაოლო უდიდესი ფეხბურთელია“ — თქვა ფრანგმა.

ორმაგად საინტერესოა ის ამბავი, რომ თავად „მილანსაც“ სურს ტურამის ყიდვა. ამიტომ ვივარაუდოთ, რომ შორი არ არის ის დრო, როცა ფრანგს „მილანის“ მაისურით ვიხილავთ.

ნომერი 10 პრიკსონს ენდობენ

თურქული გამოცემული ბრიტანული არჩევნების ბედს ათენში შვედის ტაქტიკა გადაწყვეტს. რაღაც აბლა-უბლა გამოვიდა, არა? ერთი შეხედვით, კი, მაგრამ თუ ჩავეძიებთ, ეგებ ოდნავ ლოგიკასაც გამოვკრათ ხელი.

ა) „თურქული“ დაავადება და იგი შინაურ ცნობილებს (ძროხა, ცხვარი და ა.შ.) სჭირთ. ამ ებიდემიამ მოიცვა ბრიტანეთი და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიც.

ბ) 3 მაისს ბრიტანეთში მუნიციპალური არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ლეიბორისტმა ტონი ბლერმა გაწამაწამაში მყოფ ფერმერთა თხოვნა ისმინა და არჩევნები 7 ივნისისთვის გადადო. ეს გუშინ გამოცხადდა ბლერის რეზიდენციაში, დაუნებ სტრატის ნომერ 10 სახლში.

ეს ა და ბ პუნქტები ჩვენს გაზეთს ნაკლებად ესება, მაგრამ არის კიდევ ერთი რამ:

გ) 6 ივნისს ანუ არჩევნების წინა დღეს ინგლისის საფეხბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მნიშვნელოვან შესარჩევ მატჩში ათენში საბერძნეთის ეროვნულ გუნდს ხვდება.

პოლა, ბევრ ჩვენ ინგლისელ კოლეგას ეჭვი გაუჩნდა, რომ ბატონმა ბლერმა 7 ივნისი შემთხვევით არ აირჩია — გამარჯვების შემთხვევაში გახარებული ერი ყველაფერს ისე დატოვებს, როგორც არის, ანუ ისევ ლეიბორისტებს აირჩევს.

რას არ გაიგებ კაცი?!

ისე, ბლერს უნდა ახსოვდეს, რომ 1970 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლისმა გერმანიასთან წააგო (იგებდა 2:0, დამარცხდა 2:3), მეორე დღეს კი მოსახლეობამ ლეიბორისტები კონსერვატორებით შეცვალა.

წინ ერიკსონ, ლეიბორისტებისთვის!

P.S. თავად ტონი ბლერი პრემიერ-მინისტრად აირჩიეს 1997 წლის 1 მაისს, ინგლისის ნაკრების მიერ საქართველოს „უემბლიზე“ დამარცხების მეორე დღეს.

გიგა კობახიძე



ვის კარში გაიტანს ტონი ბლერი?

რესტორანი მზიანი ღამე





**განასჯებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

- * პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- * გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3
(ყოფილი სირკის სასტუმროს პირველი სართული)**

მობრძანდით, გვინდეთ: კმაყოფილი დარჩებით

სარბიელი სპორტული ლაბარია კრეკო



ინგლისი. პრემიერლიგა. გადაღებული მატჩი
4 აპრილი

23.45 001 ასტონ ვილა-ლესტერი 2,0 2,9 3,6

ინგლისი. I დივიზიონი. გადაღებული მატჩები
4 აპრილი

23.45 005 ბლეკბერნი-შეფილდი 1,55 3,4 5,6
23.45 006 ვულვერჰემპტონი-უიმბლდონი 2,3 2,9 3,0

ინგლისი. III დივიზიონი. გადაღებული მატჩები
4 აპრილი

23.45 016 კარდიფი-ბარნეტი 1,45 3,5 6,0

შოტლანდია. II დივიზიონი. გადაღებული მატჩი
4 აპრილი

21.00 018 იგლსი-დენჰაი 1,45 3,5 6,0

ჩეხეთი. მე-18 ტური
4 აპრილი

19.30 021 ბლშანი-სინოტი 2,1 2,9 3,4
19.30 022 ბუდეიოვიცე-ლიბერეცი 2,3 3,0 2,9
19.30 023 იაბლონეცი-ბანიკი 2,0 3,0 3,5
19.30 024 ბრნო-ტეპლიცე 2,4 3,0 2,7

5 აპრილი

19.30 025 დრნოვიცე-პლზენი 1,4 3,6 6,5
19.30 026 უიკოვი-სპარტა 4,0 3,2 1,75

შოტლანდია. გადაღებული მატჩები
4 აპრილი

23.45 027 აბერდინი-დანდი იუნაიტედი 1,8 3,2 3,5
23.45 028 სელტიკი-დანდი 1,25 4,4 8,0

საბერძნეთი. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები
4 აპრილი

19.00 029 პაკ-აპოლონი 1,15 5,6 10,0
21.00 030 ირაკლისი-ოლიმპიკოსი 2,7 3,0 2,4

პოლონეთი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. II მატჩები
4 აპრილი

23.00 032 ამიცა-ვისლა 2,5 3,0 2,5

ავსტრია. თასის 1/16 ფინალი
4 აპრილი

22.00 034 რიდი-ტიროლი 3,2 3,1 2,1

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები
4 აპრილი

23.45 503 ლიდსი-დეპორტივო 2,0 2,9 3,6
23.45 504 არსენალი-ვალენსია 2,0 2,9 3,6

უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები
5 აპრილი

23.30 505 ალავესი-კაიზერსლაუტერნი 1,9 3,0 3,8
00.15 506 ბარსელონა-ლივერპული 1,65 3,2 5,0

ლიბერთადორესის თასი
4 აპრილი

01.00 509 კობრელო-დეპორტივო 1,6 3,4 5,0
04.30 510 როსარიო-ხუნორი 1,5 3,5 6,0
05.40 511 სერო პორტენიო-პალმეირასი 2,5 3,0 2,5
05.40 512 ორიენტე-ბოკა ხუნიორსი 4,0 3,1 1,75

5 აპრილი

05.00 513 ვასკო და გამა-პენიაროლი 1,15 5,6 10,0
06.10 514 სტრონგესტი-რივერ პლეიტი 4,4 3,2 1,7
07.00 515 ველესი-უნივერსიტარიო 1,1 6,0 12,0

I ტაიმი/ძირითადი დრო

1/1 1/X 1/2 X/1 X/X X/2 2/1

4 აპრილი

23.45 603 ლიდსი-დეპორტივო 3,2 10,0 20,0 4,4 4,4 5,6 18,0 10,0 5,6
23.45 604 არსენალი-ვალენსია 3,2 10,0 20,0 4,4 4,4 5,6 18,0 10,0 5,6

5 აპრილი

23.30 605 ალავესი-კაიზერსლაუტერნი 3,2 10,0 20,0 4,4 4,4 5,6 18,0 10,0 5,6
00.15 606 ბარსელონა-ლივერპული 2,5 12,0 25,0 4,4 5,0 9,0 15,0 10,0 8,0

შემდეგ ეტაპზე გასვლა

4 აპრილი

23.45 703 ლიდსი -1,8 დეპორტივო -1,6
23.45 704 არსენალი -1,8 ვალენსია -1,6

5 აპრილი

23.30 705 ალავესი -1,75 კაიზერსლაუტერნი -1,65
00.15 706 ბარსელონა -1,5 ლივერპული -2,0

უეფას თასი

5 აპრილი

23.30 759 ბარსელონა -2,0
23.30 760 ლივერპული -2,4
23.30 761 კაიზერსლაუტერნი -4,0
23.30 762 ალავესი -4,7

კალათბურთი

4 აპრილი

04.00 812 ვაშინგტონი-მაიაში 2,5 12,0 1,35
04.30 813 შარლოტი-ფინიქსი 1,6 12,0 1,8
04.30 814 კლივლენდი-ტორონტო 1,9 12,0 1,55
04.30 815 დეტროიტი-ფილადელფია 2,5 12,0 1,35
04.30 816 ორლანდო-ბოსტონი 1,4 12,0 2,3
05.00 817 მინესოტა-პორტლენდი 1,55 12,0 1,9
07.00 818 ვანკუვერი-კლიპერსი 1,6 12,0 1,8
07.30 819 გოლდენ სტეტი-მილუოკი 2,5 12,0 1,35

5 აპრილი

04.30 820 ნიუ იორკი-ვაშინგტონი 1,1 12,0 5,0
05.00 821 იუტა-საკრამენტო 1,4 12,0 2,3
05.30 822 დალასი-ატლანტა 1,05 12,0 7,5
05.30 823 ჩიკაგო-ლეიკერსი 3,5 12,0 1,15
05.30 824 შიუსტონი-სიეტლი 1,45 12,0 2,1
06.00 825 დენვერი-სან ანტონიო 2,3 12,0 1,35

კალათბურთი. სუპროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩები

5 აპრილი

21.00 826 ირაკლისი-ალბა 1,15 12,0 4,0
21.00 827 ეფესი-ლიეტუოს რიტასი 1,05 12,0 7,5
21.00 828 ულქერი-სკავოლინი 1,3 12,0 2,8
21.00 829 პარტიზანი-ვილერბანი 1,15 12,0 4,0

კალათბურთი. ევროლიგა. 1/2 ფინალი. III მატჩები

4 აპრილი

23.30 831 ტაუ-აეკ 1,25 12,0 3,1

პოკეი

4 აპრილი

04.00 907 რეინჯერსი-კაროლინა
04.30 908 ბუფალო-ბოსტონი
04.30 909 ტორონტო-აილენდერსი 1,35 4,0 5,0
04.30 910 პიტსბურგი-ტამპა ბეი 1,35 4,0 5,0
05.30 911 ჩიკაგო-კალგარი 1,9 4,0 2,3
05.30 912 დალასი-ნეშვილი 1,4 4,0 4,2
06.00 913 კოლორადო-ანაჰაიში 1,35 4,0 5,0
06.00 914 ედმონტონი-მინესოტა 1,3 4,0 5,6

5 აპრილი

04.00 915 ვაშინგტონი-ფლორიდა 1,4 4,0 4,2
04.30 916 მონრეალი-ფილადელფია 2,7 4,0 1,7
04.30 917 ტამპა ბეი-რეინჯერსი 2,1 4,0 2,1
04.30 918 დეტროიტი-ატლანტა 1,35 4,0 5,0
05.00 919 სენტ ლუისი-კოლუმბუსი 1,35 4,0 5,0
05.00 920 ნეშვილი-კალგარი 1,8 4,0 2,5
07.00 921 ვანკუვერი-ლოს ანჯელესი გაეცნობით ადგილზე
07.30 922 სან ხოსე-ფინიქსი გაეცნობით ადგილზე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ

ხუთშაბათს, 5 აპრილს კრეკო ჩვეული განრიგით იმუშავებს



ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლოების, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი

	ფურცელადის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
თბილისი	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ლრმალელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
ბარნაული	რუსთაველის ქუჩა №39	

ბათაშაშაშის წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცილოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოცემის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცილოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (პანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავალდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვიტორის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

- 1 ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
- 2 შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
- 3 შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
- 4 მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
- 5 წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
- 6 არასწორად ან არასრულად არის შეესებული ქვიტარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შეესებული პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლა-

რი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვიტარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვიტორის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვიტარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვიტარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვიტარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვიტარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვიტარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვიტარების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ქალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვიტარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვიტარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.



დიუკი, დიუკი, დიუკი

ბობორქა მინეაპოლისის „მეტროდოუმი“. ამგვარი ამბავი ამერიკაში სუპერბოულზე თუ არის, ოღონდ კი თავის ყმაწვილური სულით და მაცურებელთა ახალგაზრდობით სტუდენტური კალათბურთის დიდი ოთხეულის თამაშები უსწრებს.

წლეულს ოთხეული „მეტროდოუმი“ შეიყარა და ორდღიანი შეჯიბრის დასკვნით საათს ერთმანეთს ფინალისტები, დიუკისა და არიზონას უნივერსიტეტის გუნდები ეკვეთნენ. თამაში ისეთი იყო, როგორც უნდა ყოფილიყო: ვიჟაჟი, სტუდენტური და დიდად ოსტატური. დიუკელებმა 82:72 მოიგეს და უნივერსიტეტის ისტორიაში მესამედ შეიქნენ მთელი ამერიკის ჩემპიონები.


სამივე გაბარჯვების სულისჩამდგმელი (პირველად და მეორედ 1991 და 1992 წლებში) დიუკელთა დამსახურებული თავგაბი მაიკ კრეიფეცკი გახლავთ, რომელიც ნეტარ სიმშვიდით ეხვევა თავის ქალიშვილ ჯემის შეხვედრის გასრულების შემდეგ (№1).

დიუკელ „ლურჯ კუმბუნათა“ ლიდერობა კი ამ გადაწყვეტ თამაშში ყრმა მაიკ დანლიემ გასწია, რომელიც ნბა-ს განთქმული მწვრთნელის, ამჟამად „პორტლენდის“ თავგაბის, ასევე მაიკ დანლივის ვაჟი (№2). მაიკ-უმცროსმა დიხაც დაიმსახურა სამახსოვრო ბადის შემოჭრის უფლება, რახან გუნდს 21 ქულა მოუტანა და ფინალის უძვირფასესი მოთამაშე შეიქნა.




მთელი შეჯიბრის უძვირფასესი კი ასევე დიუკელი შეინ ბეტიე გახდა (№3). აბა შეხედეთ და გამოიცანით, ჩატენგათა ამ ოსტატს რომელ ნბა-ურ გუნდში მიიწვევენ?

აქვე ითქვას, რომ პრიზიორმაც მეტისმეტი მონდობით იბრძოლა. იქაურ „ფოტოგერთა“ მაიკლ რაიტს მოცლა არ ჰქონდა და ბევრჯერ წარმატებითაც უფარებდა მოწინააღმდეგეებს, ისე, როგორც ამ შემთხვევაში კარლოს ბუზერს (№4), მაგრამ დიუკელები უკეთესოდნენ, რასაც პაერში ამართული ჯეისონ უილიამსის (№5) ეს ფოტოც მოწმობს.

მერე კი „მეტროდოუმი“ ზეიმი იყო. იგივე ჯეისონ უილიამსი და მისი ამხანაგები დარბაზის შუქფარზე გაცოცხლებულ თამაშის მომენტებს უმზერდნენ და ხარობდნენ (№6).



REUTERS მიწეაპოლისიდან



სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოდის სამაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳოცხვერიანი
დირექტორი ბიორგი ოპროპაძელი
რედაქტორი თამაზ მიხრიანი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მირაზ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულიშაშვილი, გიორგი დარჯანი, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე
კალათბურთის და ინფორ-

მაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოღენუაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მათა აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გონალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუგუელაძე, სვეტა დევიაძე, შავლა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე
ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შილაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

ჩემი ჩემი მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე მაკაშვილის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საჳოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საჳოსტო ყუთი 208. ტელეჳონი: 39 48 29
ელექტრონული ჳოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული მირსია http://www.sarbieli.com.ge